

გიორგი გომრეაშვილი

სსეულის ენა
და
აგტეზის
წაკითხვის
სელტუნება

თბილისი, 2015

წინათქმა

ადამიანი, როგორც ერთი დიდი მოვლენა და ფენომენი თავისი კომპლექსური დამახასიათებელი ნიშნებით, უხსოვარი დროიდან იყო შესწავლის ობიექტი. თუმცა ვერავინ შეძლო ჩამოეყალიბებინა ადამიანის ამოცნობის კონკრეტული სისტემა და გაეკეთებინა ერთიანი დასკვნა. დღემდე ვერ მოხერხდა ადამიანის ტვინის და მისი შესაძლებლობების ბოლომდე შესწავლა, მაგრამ არსებობს გარკვეული ინფორმაციები და ნყაროები, რომლებიც გვეხმარება ადამიანის უკეთ გაგებაში, შეცნობაში, მისი აზრების, გრძნობების და ემოციების ნაკითხვაში.

ყველასთვის არ არის ცნობილი სხეულის ენის ანუ არავერბალური კომუნიკაციის არსებობის შესახებ და მისი გამოყენებით სათქმელის გადმოცემაზე. ადამიანები იყენებენ სხეულის ენას, მაგრამ ისინი ამას ყურადღებას არ აქცევენ და მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მათთვის ნათქვამ სიტყვებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უთქმელს, რომლებიც სხეულის მოძრაობებით, ჟესტებით, სახის მიმიკებით, თვალის მოძრაობებით გადმოიცემა.

სხეულის ენა – ეს არის მეცნიერება და ხელოვნება. სხეულის ენის ნაკითხვა და ამოცნობა საიდუმლო სწავლებადაც კი იყო მიჩნეული. ამ მეცნიერების შესწავლა მხოლოდ მონარქებს, მათი ოჯახის წევრებს და პრივილეგიურულ საზოგადოებას შეეძლო. ეს დამალული ცოდნა თანდათან გამოვიდა დღის სინათლეზე და დღეს უკვე, ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მისი შესწავლა.

ადრეული ასაკიდან დამაინტერესა ადამიანის ფენომენმა და დავინწყე მისი შესწავლა. ვაკვირდებოდი ადამიანებს, თურა განაპირობებდა მათ სხვადასხვაგვარ ქმედებას. რატომ იყენებდა საზოგადოების უმეტესობა ერთნაირ ჟესტიკულა-

რედაქტორი: ანა გიორგაშვილი
გამოცემის რედაქტორი: მარინე მარკოგაშვილი
ტექრედაქტორი: ალექსანდრე კუზანაშვილი
კომპიუტერული უბრუნველყოფა: კახა გიორგაშვილი
კორექტორი: გრიგოლ ცაცხლაძე
ღავით ლეკიშვილი

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „თეკა&კომპანია“-ში

ციას და პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და მსახიობები განსხვავებულს.

ამერიკაში სწავლის პერიოდში ჰარვარდისა და ბერკლის პროფესორების ლექციებმა კიდევ უფრო გააძლიერა ჩემში ინტერესი ადამიანის ფსიქოლოგიისა და სხეულის ენის მეცნიერების შესწავლისა და საბოლოოდ გადავწყვიტე, უკეთ გავცნობოდი და შემესწავლა ისინი. სწორედ ამ მიზნით, გავხდი ადამიანის ფენომენის ერთ-ერთი გამოჩენილი კავკასიელი მკვლევარის, ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის, გიორგი გურჯიევის საზოგადოების წევრი ამერიკაში და ძალიან მალე მისი ერთ-ერთი ლიდერი. მან ადამიანის შესწავლას და სიმართლის ძიებას მთელი სიცოცხლე მიუძღვნა და მსოფლიოს სხვადასხვა მისტიკურ სკოლაშიც სწავლობდა. ის თავის სათქმელს სხეულის მოძრაობებით, მუსიკით და ცეკვებით გადმოსცემდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დავინტერესდი, თუ რა დონეზე იყო სხეულის ენის შესწავლა საქართველოში. აღმოვაჩინე, რომ ამ მეცნიერების შესწავლა და სწავლება არ ხდება. ქართულად ვერანაირი სახელმძღვანელო და წიგნი ვერ მოვიძიე სხეულის ენის შესახებ. ამიტომ ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, გამეზიარებინა ჩემი ცოდნა და გამოცდილება თქვენთვის და გადავწყვიტე, დამენერა ზოგადი პრაქტიკული სახელმძღვანელო „სხეულის ენის და აზრების წაკითხვის“ შესახებ. ეს წიგნი საშუალებას აძლევს ყველა ამ თემით და მეცნიერებით დაინტერესებულ ადამიანს, გაეცნოს და შეისწავლოს სხეულის ენა, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, პირად, სოციალურ თუ რომანტიკულ ურთიერთობებში, მიზნების განხორციელებაში და წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

სხეულის ენა მეცნიერებაა და, რა თქმა უნდა, ამ პატარა ნაშრომით არ შემოიფარგლება. ეს წიგნი არის პრაქტიკული

სახელმძღვანელო და მიმართულებას გაძლევთ, თუ როგორ უნდა შეისწავლოთ ადამიანი.

ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი დაგეხმარებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებთან ურთიერთობების მარტივად დამყარებაში და მათი აზრების წაკითხვაში.

დიდი სურვილი მაქვს, ჩვენს უნივერსიტეტებშიც დავიწყოთ ამ მეცნიერების და ხელოვნების სწავლება, რაც სტუდენტებს წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

შევეცადე, ძალიან ვრცელი და რთული თემა, როგორცაა სხეულის ენა და აზრების წაკითხვის ხელოვნება, მარტივად და გასაგებად ამეხსნა.

ხშირად გაიღიმეთ, გაიცინეთ, იფიქრეთ ყოველთვის პოზიტიურად და არასდროს შეწყვიტოთ მოძრაობა!!!

გამოყენებული ლიტერატურა:

- პაულ ეკმანი – ტყუილის ლაპარაკი: ტყუილის ამოცნობა პოლიტიკაში, მარკეტინგში, ქორწინებაში, ნიუ-იორკი: ნორტონი 1985.
- პის ალანი და ბარბარა პისი – სხეულის ენა. ნიუ-იორკი: ბანტამ 2006.
- პამელა მაიერი – ტყუილის ამოცნობა: სიცრუის გამოვლენის დამტკიცებული ტექნიკები. ნიუ-იორკი, წმინდა მარტინი 2010.
- ჯო ნავარო და მარვი კარლინსი: „რას ამბობს სხეული“. ნიუ-ორკი, 2008.
- დავიდ გრეგი – ტყუილის ამომცნობი. გახდით ტყუილის ამომცნობი 60 წუთზე ნაკლებ დროში. ნიუპორტი. ბიგ სქაი 2011.

სარჩევი

წინათქმა	3
თავი 1.	
სხეულის ენა და აზრების წაკითხვის ხელოვნების მიმოხილვა	6
თავი 2.	
გახსნილი სხეულის ენა	9
თავი 3.	
ყურადღებიანი სხეულის ენა	13
თავი 4.	
ძალაუფლების გამომხატველი სხეულის ენა.....	16
თავი 5.	
მამაკაცის რომანტიკული სხეულის ენა	20
თავი 6.	
სხეულის ენა გაყიდვების დროს	32
თავი 7.	
მოჩვენებითი სხეულის ენა	37
თავი 8.	
ქალის რომანტიკული სხეულის ენა	41
თავი 9.	
დაცვითი სხეულის ენა	54
თავი 10.	
დომინანტური სხეულის ენა	56
თავი 11.	
ემოციური სხეულის ენა	61

თავი 12.	
სექსუალური მიზიდულობის ენა.....	65
თავი 13.	
შემფასებლური სხეულის ენა.....	71
თავი 14.	
ლიდერის სხეულის ენა.....	74
თავი 15.	
მისალმებითი სხეულის ენა.....	82
თავი 16.	
ჩაკეტილი სხეულის ენა.....	91
თავი 17.	
აგრესიული სხეულის ენა	96
თავი 18.	
მზადმყოფი სხეულის ენა	100
თავი 19.	
პერსონალური, ინტიმური, სოციალური და საჯარო სივრცე	103
თავი 20.	
ტყუილის ფსიქოლოგია (ტყუილის ენა)	108
თავი 21.	
აზრების ნაკითხვა თვალების მეშვეობით (თვალების ენა).....	125
თავი 22.	
სხეულის ენა ინტერვიუს დროს.....	141
გამოყენებული ლიტერატურა:.....	150